- ÞÉÒÉÈÀÃÉ ÐÒÉÍÝÉÐÄÁÉ ÌÀÒÈ Ë ßÄÓÒÉÂÉÓ ÃÀÌÝÅÄË ÈÀÍÀÌÃÄÁÏÁÉÓ ÐÉÒÈÀ ÌÉÄÒ ÞÀËÉÓÀ ÃÀ ÝÄÝáËÓÀÓÒÏ ËÉ ÉÀÒÀÙÉÓ ÂÀÌÏÚÄÍÄÁÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

ცვლილებები
არ მომხდარა

მიღებულია - 27.08.1990 წ *ძალაშია - 27.08.1990 წ*

27.08.1990 წ - მდგომარეობით

მიმღები: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მიღებულია დანაშაულის აღკვეთის და სამართალდამრღვევების მოპყრობის შესახებ გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ,

ჰავანა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტო - 7 სექტემბერი

ვინაიდან მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა* მუშაობას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ არსებობს მათი სათანადო დონეზე დაცვის და აუცილებლობის შემთხვევაში ამ პირთა სამუშაო პირობების და მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელობა, ვინაიდან მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების სიცოცხლის და უსაფრთხოების საფრთხე უნდა მიიჩნეოდეს მთლიანად საზოგადოების სტაბილურობის საფრთხედ,

ვინაიდან მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების დაცვაში, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და გამტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით,

ვინაიდან, პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები განსაზღვრავენ გარემოებებს, როდესაც საპატიმროთა თანამდებობის პირებს შეუძლიათ ძალის გამოყენება მათი მოვალეობების შესრულების დროს,

ვინაიდან, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმდენად რამდენადაც საჭიროა მათი მოვალეობის შესასრულებლად,

ვინაიდან, დანაშაულის აღკვეთის და სამართალდამრღვევთა მოპყრობის თაობაზე გაეროს მეშვიდე კონგრესისათვის მოსამზადებელ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა იტალიის ქალაქ ვარენაში, შეთანხმებულ იქნა ის ელემენტები, რომლებიც განხილულ იქნება მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებული შემდგომი მუშაობის პროცესში,

ვინაიდან, თავის მე-14 რეზოლუციაში მეშვიდე კონგრესი, ინტერ ალია (სხვა საკითხებთან ერთად), ხაზს უსვამს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა სათანადოდ დაცვით,

ვინაიდან, თავის 1986 წლის 21 მაისის 1986/10 რეზოლუციის მე-9 ნაწილში ეკონომიკური და სოციალური საბჭო წევრ-სახელმწიფოებს სთავაზობს, რომ კოდექსის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საკითხებზე, ხოლო თავის 1986 წლის 4 დეკემბრის 41/149 რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა, ინტერ ალია, მიესალმება საბჭოს ამ რეკომენდაციას,

ვინაიდან, მიზანშეწონილია, რომ, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა პირად უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილებით, მათი როლი განხილულ იქნას მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების დაცვასთან, სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მათ ამოცანებთან და მათი კვალიფიკაციის, მომზადებისა და ქცევის მნიშვნელობასთან მიმართებაში, მთავრობებმა მხედველობაში უნდა მიიღონ და დაიცვან მათი ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის ფარგლებში ქვემოთ მოცემული ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემუშავებულია, რათა დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს მათი ამოცანების შესრულებაში მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ სათანადო როლის შესრულების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობასთან მიმართებით, და ეცნობოს მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს და ასევე სხვა პირებს, როგორებიც არიან მოსამართლეები, პროკურორები, იურისტები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და ზოგადად მოსახლეობა.

ზოგადი დებულებები

1. მთავრობებმა და მართლწესრიგის დაცვის ორგანოებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ წესები და დებულებები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ადამიანის წინააღმდეგ ძალისა და

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე. ასეთი წესებისა და დებულებების შემუშავებისას, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები.

2. მთავრობებმა და მართლწესრიგის დაცვის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ საშუალებების მაქსიმალურად ფართო სპექტრი და უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოები სხვადასხვა ტიპის იარაღით და საბრძოლო მასალით, რაც იძლევა ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის დიფერენცირებულად გამოყენების შესაძლებლობას. მათ რიცხვში შედის არასასიკვდილო მაგრამ მანეიტრალებელი ტიპის იარაღები, რომლებიც გამოიყენება სათანადო სიტუაციებში, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ადამიანის სიკვდილი ან დასახიჩრება. იგივე მიზნით, მართლწესრიგის დაცვის ორგანოების თანამდებობის პირებს ასევე უნდა შეეძლოთ, აღიჭურვონ ისეთი თავდაცვითი აღჭურვილობით, როგორიცაა ფარი, მუზარადი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი და ტყვიაგაუმტარი სატრანსპორტო საშუალება, რათა შემცირდეს ნებისმიერი ტიპის იარაღის გამოყენების აუცილებლობა.

3. აუცილებელია დეტალურად იქნას განხილული არასასიკვდილო მანეიტრალებელი ტიპის იარაღის შემუშავებისა და გამოყენების საკითხი, რათა მინიმუმადე შემცირდეს გარეშე პირებისათვის ზიანის მიყენების რისკი და განხორციელდეს მკაცრი კონტროლი ასეთი იარაღის გამოყენებაზე.

4. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა თავიანთი მოვალეობის შესრულებისას შეძლებისდაგვარად უნდა მიმართონ არაძალადობრივ საშუალებებს სანამ იძულებული გახდებიან, გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია ან იმედისმოუცემელია განსაზღვრული შედეგის მისაღწევად.

5. ნებისმიერ დროს, როდესაც გარდაუვალია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა:

(ა) თავი უნდა შეიკავონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ასეთი გამოყენებისაგან სამართალდარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე და კანონიერი მიზნის მისაღწევად;

(ბ) მინიმალური უნდა გახადონ ზიანის და ზარალის მიყენების შესაძლებლობა და დაიცვან ადამიანის სიცოცხლე;

(გ) უმოკლეს ვადებში უნდა უზრუნველყონ ნებისმიერი დაზარალებული ან
დაჭრილი პირი სამედიცინო და სხვა სახის დამხარებით;

(დ) უმოკლეს დროში უნდა შეატყობინონ დაზარალებული ან დაჭრილი პირის
ნათესავებს ან ახლო მეგობრებს.

6. თუ დასახიჩრება ან სიკვდილი გამოწვეულია, მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მათ უშუალო უფროსს 22-ე პრინციპის შესაბამისად.

7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დაცვის ორგანოების თანამდებობის პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის თვითნებური ან ბოროტგანზრახული გამოყენება ისჯება როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული მათი კანონმდებლობის თანახმად.

8. წინამდებარე პრინციპებიდან ნებისმიერი გადახვევა არ შეიძლება გამართლებულ იქნას ისეთი გამონაკლისი მდგომარეობებით, როგორიცაა შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია ან სხვა საგანგებო საზოგადოებრივი მდგომარეობა.

სპეციალური დებულებები

9. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი ადამიანების წინააღმდეგ, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა _ თავის დასაცავად ან სხვა პირების დასაცავად რეალური სიცოცხლის საშიშროებისაგან ან სერიოზული დასახიჩრებისაგან ან მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, რომელიც საშიშროებას უქმნის სიცოცხლეს, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დასაპატიმრებლად, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს მართლწესრიგის დამცველ თანამშრომელს ან მისი გაქცევის აღსაკვეთად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე ნაკლებად ექსტრემალური ზომები არასაკმარისია აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ყველა შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის განზრახ სასიკვდილოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საესებით გარდაუვალია სიცოცხლის დასაცავად.

10. მე-9 პრინციპში განსაზღვრულ შემთხვევებში, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა უნდა წარადგინონ თავიანთი თავი და გარკვევით გასცენ სიტყვიერი გაფრთხილება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე, გაფრთხილებაზე რეაგირებისათვის საკმარისი დროით ადრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ქმედებები ქმნიან მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებისთვის ზედმეტ საშიშროებას ან სხვა პირთა სიცოცხლის ან სერიოზული ზიანის მიყენების საშიშროებას ან უსარგებლო და უადგილო იქნებოდა ინციდენტის გარშემო შექმნილ გარემოებებში.

11. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების

თაობაზე წესები და დებულებები უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო ნორმებს, რომლებიც:

(ა) აღგენენ გარემოებებს, როდესაც მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება აქვთ და განსაზღვრავენ ნებადართული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტიპებს;

(ბ) უზრუნველყოფენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენებოდეს მხოლოდ სათანადო შემთხვევაში და ისე, რომ შესაძლებელი იყოს ზედმეტი ზიანის მიყენების საშიშროების შემცირება;

(გ) კრძალავენ იმ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენებას, რომელიც იწვევს განსაკუთრებულად მძიმე დასახიჩრებას ან წარმოადგენენ გაუმართლებელი რისკის წყაროს;

(დ) არეგულირებენ ცეცხლსასროლი იარაღის კონტროლს, შენახვასა და გაცემას, მათ შორის ის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების ანგარიშგებას მათზე გაცემულ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე;

(ე) განსაზრღვრავენ გაფრთხილებებს, რომლებიც შესაბამის შემთხვევაში გაკეთებულ უნდა იქნას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლამდე;

(ვ) განსაზღვრავენ ანგარიშგების სისტემას იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირები იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას.

წესრიგის დამყარება უკანონო შეკრებებისას

12. ვინაიდან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კანონიერ და მშვიდობიან შეკრებებში, მთავრობებმა, სამართალდამცავმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა უნდა აღიარონ, რომ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მე-13 და მე-14 პრინციპების შესაბამისად.

13. უკანონო მაგრამ არაძალადური შეკრებების დაშლისას, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა თავი უნდა აარიდონ ძალის გამოყენებას, ან თუ ეს შესაძლებელია, შეზღუდოს ასეთი ძალის გამოყენება მინიმალურად საჭირო დონემდე.

14. ძალადური შეკრებების დაშლისას მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ შეიძლება ნაკლებად საშიში საშუალებების გამოყენება და მხოლოდ მინიმალურად აუცილებელ დონეზე. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს არა აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება ასეთ შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს მე-9 პრინციპში განსაზღვრული პირობები.

დაპატიმრებული ან დაკავებული პირებზე კონტროლის წარმოება

15. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები დაპატიმრებულ და დაკავებულ პირებთან ურთიერთობისას არ იყენებენ ძალას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია უსაფრთხოების და წესრიგის დასაცავად დაწესებულების შიგნით, ან საფრთხე ემუქრება პირად უსაფრთხოებას.

16. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირები დაპატიმრებულ და დაკავებულ პირებთან ურთიერთობისას არ იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს თუ ეს აუცილებელი არ არის თავის დასაცავად ან სხვა პირების დასაცავად რეალური სიცოცხლის საშიშროებისაგან ან სერიოზული დასახიჩრებისაგან ან დაპატიმრებული ან დაკავებული პირის გაქცევის აღსაკვეთად, რაც ქმნის მე-9 პრინციპში განსაზღვრულ საშიშროებას.

17. ზემოთ მოცემული პრინციპების გამოყენება უნდა მოხდეს საპატიმროთა თანამდებობის პირთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შეულახავად, რომლებიც განსაზღვრულია პატიმართა მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებში, კერძოდ 33-ე, 34-ე, და 54-ე წესებში.

კვალიფიკაციები, მომზადება და კონსულტირება

18. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირი შერჩეულ იქნას შესაბამისი შერჩევითი პროცედურების მიხედვით, გააჩნდეს სათანადო მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მონაცემები თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის და გაიაროს მუდმივი და დეტალური პროფესიული მომზადება. აუცილებელია, პერიოდულად ჩატარდეს მათი მდგომარეობის შემოწმება, რომელიც დამაკმაყოფილებელია აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად.

19. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირის მომზადება და ატესტაცია იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია ძალის გამოყენებისათვის. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები, რომლებიც მოვალენი არიან ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი, ნებართვას ცეცხლსასროლი იარაღის ტარებაზე იღებენ მხოლოდ მისი გამოყენების შესასწავლი სპეციალური კურსის დასრულების შემდეგ.

20. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების მომზადებისას, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, განსაკუთრებით გამოძიების წარმოების პროცესში, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ალტერნატივებზე, მათ შორის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, ხალხის დიდი მასების ქცევის გაგება და დარწმუნების მეთოდები, მოლაპარაკების და შუამავლობის წარმოება, ასევე ტექნიკურ საშუალებებზე, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით. სამართალდამცავი ორგანოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი სასწავლო პროგრამები და ოპერატიული პროცედურები კონკრეტული ინციდენტების გათვალისწინებით.

21. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების კონსულტირებაზე სტრესის შემთხვევებთან დაკავშირებით, ისეთ სიტუაციებში, როდესაც ხდება ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ანგარიშგებისა და განხილვის პროცედურები

22. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ეფექტური ანგარიშგებისა და განხილვის პროცედურები ყველა იმ ინციდენტისათვის, რომლებიც მოცემულია მე-6 და მე-11(ვ) პრინციპებში. ინციდენტებისათვის, რომელთა შესახებ ანგარიშგება ხდება აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური განხილვის პროცესი და შესაბამის გარემოებებში დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოების ან საპროკურორო ორგანოების მიერ იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობა. სიკვდილის ან სერიოზული დასახიჩრების ან სხვა მძიმე შედეგების შემთხვევაში, დეტალური ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია საქმის ადმინისტრაციული წესით დამოუკიდებლად განხილვაზე და სასამართლო კონტროლზე.

23. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაზარალებული პირები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები დაიშვებიან დამოუკიდებელ პროცესზე, მათ შორის სასამართლო პროცესზე. ასეთი პირების სიკვდილის შემთხვევაში, წინამდებარე დებულება შესაბამისად ვრცელდება მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე.

24. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ზემდგომი თანამდებობის პირების პასუხისგება იმაზე, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების შესახებ და არ მიმართეს ზომებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასეთი შემთხვევების აღკვეთის ან მათ შესახებ შეტყობინებისათვის.

25. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირების ქცევის კოდექსის და წინამდებარე ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უარს ამბობენ ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე ბრძანების შესრულებაზე ან რომლებიც ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ასეთი გამოყენების შესახებ ატყობინებენ სხვა თანამდებობის პირებს, არ გამოიყენებოდეს სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინარული ზომები.

26. ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანებების შესრულება არ წარმოადგენს გამართლებულ საფუძველს, თუ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა იცოდნენ ადამიანის სიკვდილის ან სერიოზული დასახიჩრების გამომწვევი ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე ბრძანების აშკარა უკანონობის შესახებ და ჰქონდათ მის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. ყველა შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება უკანონო ბრძანების გამცემ ზემდგომ თანამდებობის პირებს.

პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ ყველა პირის დაცვის შესახებ

მიღებულია გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით

პრინციპთა ერთობლიობის მოქმედების სფერო

წინამდებარე პრინციპები გამოიყენება ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დასაცავად

ტერმინების გამოყენება

პრინციპთა ერთობლიობის მიზნებისათვის:

(ა) "დაპატიმრება" ნიშნავს პირის დაკავების აქტს, რომელიც ეჭვმიტანილია რაიმე სამართალდარღვევის ჩადენაში ან რომელიმე ორგანოს გადაწყვეტილებით;

(ბ) "დაკავებული პირი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც აღკვეთილი აქვს პირადი თავისუფლება სამართალდარღვევის ჩადენისათვის გასამართლების გარეშე

(გ) "დაპატიმრებული პირი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც ჩადენილი

სამართალდარღვევისათვის სასამართლოს მიერ აღკვეთილი აქვთ პირადი თავისუფლება;

(დ) "დაკავება" ნიშნავს დაკავებული პირის მდგომარეობას, ზემოთ მოცემული განსაზღვრების თანახმად;

(ე) სიტყვა "პატიმრობა" ნიშნავს დაპატიმრებული პირის მდგომარეობას, ზემოთ მოცემული განსაზღვრების თანახმად;

(ვ) სიტყვები "სასამართლო ან სხვა ორგანო" ნიშნავს სასამართლო ან სხვა ორგანოს, რომლის სტატუსი და მდგომარეობაც კანონის შესაბამისად უნდა უზრუნველყოფდეს კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მაქსიმალურად მყარ გარანტიებს.

პრინციპი 1

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ ჰუმანურ მოპყრობაზე და პიროვნების თანდაყოლილ ადამიანის ღირსების პატივისცემაზე.

პრინციპი 2

დაკავება, დაპატიმრება ან პატიმრობა ხორციელდება მხოლოდ კანონში მოყვანილი მუხლების მკაცრი დაცვით და კომპეტენტური თანამდებობის პირების ან ამ მიზნებისთვის კანონით უფლებამოსილი პირების მიერ.

პრინციპი 3

ნებისმიერი ფორმით დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირთა ინტერესებიდან გამომდინარე არ დაიშვება, ნებისმიერ სახელმწიფოში სამართლის, კონვენციების, წესებისა ან ჩვეულების შესაბამისად აღიარებული ან არსებული ადამიანის რომელიმე უფლების შეზღუდვა ან შემცირება, იმის საფუძველზე, რომ ეს უფლებები არ არის აღიარებული ან აღიარებულია მცირე მოცულობით წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობაში.

პრინციპი 4

ნებისმიერი ფორმით დაკავება ან დაპატიმრება და გამოყენებული ყველა ზომა, რომელიც შეხებაში მოდის ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის ადამიანის უფლებებთან, უნდა განხორციელდეს დადგენილი წესის თანახმად ან უნდა დაექვემდებაროს სასამართლო ან სხვა ორგანოს ეფექტურ კონტროლს.

პრინციპი 5

1. წინამდებარე პრინციპები ვრცელდება ნებისმიერი მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირზე განურჩევლად მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა მდგომარეობისა.

2. ზომები, რომლებიც გამოიყენება კანონის ფარგლებში და სპეციალურად შექმნილია ქალის უფლებათა და მისი განსაკუთრებული სტატუსის დასაცავად, განსაკუთრებით ორსული და ჩვილბავშვიანი ქალების, ასევე ბავშვების, მოზარდების, მოხუცებულთა, ავადმყოფთა და ინვალიდთა დასაცავად, არ განიხილება როგორც დისკრიმინაციული. ასეთი ზომების აუცილებლობის და გამოყენების საკითხი ყოველთვის ექვემდებარება განხილვას სასამართლო ან სხვა ორგანოს მიერ.

პრინციპი 6

ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი არც ერთი პირი არ ექვემდებარება წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს.* არავითარი გარემოება არ შეიძლება გამოიყენებოდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამართლების საფუძვლად.

პრინციპი 7

1. სახელმწიფოებმა კანონმდებლობით უნდა მოაწესრიგონ ნებისმიერი ქმედების აკრძალვა, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე პრინციპებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დააწესონ

ასეთი ქმედებებისათვის შესაბამისი სანქციები და აწარმოონ მიუკერძოებელი გამოძიება საჩივრების საფუძველზე.

2. ოფიციალურმა პირებმა, რომლებსაც აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობა დაირღვა ან შეიძლება დაირღვეს, აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობონ ზემდგომ თანამდებობის პირებს და, როდესაც ეს აუცილებელია, სხვა შესაბამის ზემდგომ თანამდებობის პირებს ან ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ზედამხედველობის ან მდგომარეობის გამოსწორების განხორციელებაზე.

3. თუ ნებისმიერ სხვა პირს აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობა დაირღვა ან შეიძლება დაირღვეს, უფლება აქვს ამის შესახებ აცნობოს საქმესთან დაკავშირებული თანამდებობის პირების ზემდგომ ინსტანციებს და ასევე შესაბამის სხვა ზედამხედველობაზე ან მდგომარეობის გამოსწორებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირებს ან ორგანოებს.

პრინციპი 8

დაკავებულ პირებზე ვრცელდება რეჟიმი, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებული პირის სტატუსს. შესაბამისად, ყოველთვის როდესაც ეს შესაძლებელია, მათ განათავსებენ მსჯავრდებული პირებისაგან განცალკევებით.

პრინციპი 9

ორგანოები, რომლებიც ახდენენ პირის დაპატიმრებას, მის დაკავებას ან საქმის გამოძიებას, ანხორციელებენ მხოლოდ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, და ასეთი უფლებამოსილებების განხორციელება, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო ან სხვა ორგანოში.

პრინციპი 10

ნებისმიერ დაპატიმრებულს, დაპატიმრების მომენტში უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ნებისმიერი ბრალდების შესახებ.

პრინციპი 11

1. პირი არ უნდა იყოს დაკავებული, თუ მას არ მიეცემა სასამართლო ან სხვა ორგანოების წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენისა და მოსმენის ეფექტური შესაძლებლობა. დაკავებულ პირს უფლება აქვს თვითონ დაიცვას თავი ან კანონის შესაბამისად ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით.

2. დაკავებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა, თუ ასეთი მას ჰყავს, უნდა მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია დაკავების შესახებ ნებისმიერ დადგენილებაზე, აგრეთვე დაკავების მიზეზებზეც.

3. სასამართლო ან სხვა ორგანოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება აუცილებლობის შემთხვევაში, განიხილოს დაკავების გაგრძელების საფუძველი.

პრინციპი 12

1. შესაბამისი ფორმით ოქმში შეტანილ უნდა იქნას:

(ა) დაპატიმრების მიზეზები;

(ბ) პირის დაპატიმრების დრო და, ასეთი პირის საპყრობილეში მიყვანის, ასევე სასამართლო ან სხვა ორგანოს წინაშე პირველად წარდგენის დრო;

(გ) შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა გვარები;

(დ) ზუსტი მონაცემები დაკავების ადგილის შესახებ.

2. ასეთი ოქმები კანონით დადგენილი ფორმით წარედგინება დაკავებულ პირს ან მის ადვოკატს, თუ ასეთი მას ჰყავს.

პრინციპი 13

ნებისმიერი პირი დაკავების, დაპატიმრების ან სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე, ან აღნიშნულის განხორციელებიდან რაც შეიძლება სწრაფად, მის დაკავებაზე, დაპატიმრებაზე, ან საპყრობილეში მოთავსებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციით და ახსნა-განმარტებებით და მისი უფლებებისა და ამ უფლებათა რეალიზაციის შესახებ.

პრინციპი 14

პირი, რომელიც შესაბამისად ვერ ფლობს მის დაკავებაზე, დაპატიმრებაზე ან საპყრობილეში მოთავსებაზე პასუხისმგებელი ორგანოების სამუშაო ენას, უფლებამოსილია მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ მიიღოს მე-10, მე-11 (პუნქტი 2), მე-12 (პუნქტი 1) და მე-13 პრინციპებით განსაზღვრული ინფორმაცია და, საჭიროებისამებრ გაეწიოს თარჯიმნის, თუ აუცილებელია უფასო, დახმარება მის დაპატიმრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების განმავლობაში.

პრინციპი 15

მე-16 პრინციპის მე-4 პუნქტსა და მე-18 პრინციპის მე-3 პუნქტში დაშვებული გამონაკლისების მიუხედავად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას გარე სამყაროსთან, კერძოდ მის ოჯახთან ან ადვოკატთან ურთიერთობაზე, მხოლოდ არა უმეტეს რამდენიმე დღისა.

პრინციპი 16

1. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს დაპატიმრების შემდგომ დაუყოვნებლივ და დაკავების ან პატიმრობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას, თხოვნით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს, რომ შეატყობინონ მისი ოჯახის წევრებს ან მისი არჩევანის შესაბამისად სხვა პირებს, მისი დაკავების, დაპატიმრების ან საპყრობილეში მოთავსების, დაკავების ადგილიდან გადაყვანის და იმ ადგილის შესახებ, სადაც იგი იმყოფება ბადრაგის ზედამხედველობის ქვეშ.
2. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უცხოელია, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული იმის შესახებ, რომ აქვს უფლება დადგენილი საშუალებებით ურთიერთობა იქონიოს თავისი ქვეყნის ან სხვა ისეთი ქვეყნის საკონსულო ან დიპლომატიურ მისიებთან, რომლებიც, საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილი არიან აწარმოონ ამგვარი ურთიერთობები. ხოლო, თუ პირი ლტოლვილია ან სხვაგვარად იმყოფება მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მფარველობის ქვეშ, იგი უფლებამოსილია ურთიერთობა იქონიოს ასეთი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
3. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია ან არ შესწევს უნარი გაიაზროს საკუთარი უფლებები, კომპეტენტური ორგანო თავისი ინიციატივით იღებს წინამდებარე პრინციპში აღნიშნული შეტყობინების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშობლების ან მეურვეების შეტყობინებას.
4. წინამდებარე პრინციპში აღნიშნული ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაკეთდეს ან ნებადართულ იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ დაუყოვნებლივ. კომპეტენტურმა ორგანოებმა, გამონაკლისის წესით, შეიძლება დააგვიანონ შეტყობინება გონივრული დროის განმავლობაში, თუკი ამას გამოძიების ინტერესები მოითხოვს.
პრინციპი 17

1. დაკავებულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით. კომპეტენტურმა ორგანომ დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პირს აღნიშნული უფლების შესახებ და უზრუნველყოს ამ უფლების რეალიზაციისათვის საჭირო საშუალებებით.
2. თუ დაკავებულ პირს საშუალება არა აქვს საკუთარი არჩევანის საფუძველზე ჰყავდეს ადვოკატი, ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, მას უფლება აქვს ისარგებლოს სასამართლო ან სხვა ორგანოს მიერ მისთვის დანიშნული ადვოკატის მომსახურებით, უფასოდ, თუ მას არ გააჩნია ასეთი მომსახურების ანაზღაურების საშუალება.

პრინციპი 18

1. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს დაუკავშირდეს ადვოკატს და მიიღოს მისი კონსულტაცია.
2. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს ეძლევა სათანადო დრო და ექმნება შესაბამისი პირობები თავის ადვოკატთან კონსულტაციისათვის.
3. არ შეიძლება დროებით გადაიღოს ან შეიზღუდოს დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის უფლება დაგვიანებისა და ცენზურის გარეშე და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჰქონდეს ურთიერთობა ადვოკატთან და მიიღოს მისგან კონსულტაციები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ამას, კანონის ან სხვა კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო ან სხვა ორგანო უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით.
4. დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირისა და მისი ადვოკატის შეხვედრები შეიძლება წარიმართოს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირების ვიზუალური დაკვირვების ქვეშ, მაგრამ მოსმენის გარეშე.

5. წინამდებარე პრინციპში განსაზღვრული ურთიერთობა დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირსა და თავის ადვოკატს შორის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის წინააღმდეგ, თუ ეს არ უკავშირდება დანაშაულის გაგრძელებას ან განზრახვას.

პრინციპი 19

დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს ეძლევა უფლება შეხვდეს ოჯახის წევრებს და იქონიოს მათთან მიმოწერა, აგრეთვე სათანადო შესაძლებლობა იქონიოს კავშირი გარე სამყაროსთან კანონით და სხვა კანონიერი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული გონივრულად დასაშვები პირობებისა და შეზღუდვების ფარგლებში.

პრინციპი 20

დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის თხოვნით, და შეძლებისდაგვარად, იგი შეიძლება მოთავსდეს დაკავების და პატიმრობის ისეთ ადგილას, რომელიც გონივრულადაა დაშორებული მის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილთან.

პრინციპი 21

1. აკრძალულია დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის მდგომარეობით ბოროტად სარგებლობა ძალდატანებითი აღიარების, საკუთარი თავის სხვაგვარად მხილების ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით.
2. დაკითხვის დროს არც ერთი დაკავებული პირის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული იძულება, დაშინება ან დაკითხვის ისეთი მეთოდები, რომლებიც აქვეითებს პირის უნარს გონივრულად განსაჯოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

პრინციპი 22

არც ერთი დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირი, მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი, არ უნდა დაექვემდებაროს ისეთ სამედიცინო ან სამეცნიერო ხასიათის ექსპერიმენტების ჩატარებას, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას.

პრინციპი 23

1. დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის ყოველი დაკითხვის ან დაკითხვებს შორის ინტერვალების ხანგრძლივობა, ასევე დაკითხვის მწარმოებელი თანამდებობის პირების და სხვა დამსწრე პირების გვარები დაფიქსირებული და დამოწმებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი ფორმით.
2. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს და მის ადვოკატს, კანონის შესაბამისად, აქვთ ამ პრინციპის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

პრინციპი 24

დაკავებულმა ან პატიმრობაში მყოფმა პირმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება დაკავების ან პატიმრობის ადგილას მოთავსებიდან უმოკლეს დროში; ხოლო ამის შემდგომ, ყოველ აუცილებელ შემთხვევაში, მას გაეწევა სამედიცინო მომსახურება და მკურნალობა. ასეთი მომსახურება და მკურნალობა უფასოა.

პრინციპი 25

დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს ან მის ადვოკატს დაკავების ან პატიმრობის ადგილას წესრიგის შენარჩუნების პირობით, უფლება აქვს მიმართოს სასამართლო ან სხვა ორგანოს თხოვნით ან შუამდგომლობით განმეორებითი სამედიცინო შემოწმების ან დასკვნის თაობაზე.

პრინციპი 26

დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის მიერ სამედიცინო შემოწმების გავლის ფაქტი, ექიმის გვარი და ყოველი შემოწმების შედეგები შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. ასეთი ჩანაწერების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. ხელმისაწვდომობის საშუალებები განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

პრინციპი 27

მტკიცებულებათა მოპოვებისას, წინამდებარე პრინციპების არ დაცვა გასათვალისწინებელია დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის საწინააღმდეგოდ ამგვარ მტკიცებულებათა დაშვების განსაზღვრისას.

პრინციპი 28

დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს, არსებული რესურსების ფარგლებში, თუ არსებობს ასეთი სახელმწიფო წყაროები, მიიღოს დასაშვები რაოდენობით საგანმანათლებლო, კულტურული და ინფორმაციული ხასიათის მასალები, დაკავების ან პატიმრობის ადგილას უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის პირობების შესაბამისად.

პრინციპი 29

1. შესაბამისი კანონებისა და წესების მკაცრი დაცვის კონტროლის მიზნით, დაკავებისა და პატიმრობის ადგილებს რეგულარულად მოინახულებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნული ან მათ წინაშე ანგარიშვალდებული კვალიფიციური და გამოცდილი, დაკავებისა და საპატიმრო დაწესებულებების ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი პირები.
2. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს თავისუფლად და სრული კონფიდენციალობის დაცვით ურთიერთობა იქონიოს პირებთან, რომლებიც ეწევიან დაკავებისა და პატიმრობის ადგილებს წინამდებარე პრინციპის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობების დაცვით.

პრინციპი 30

1. იმ დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირთა მოქმედება, რომელიც წარმოადგენს დისციპლინარულ სამართალდარღვევას დაკავების ან დაპატიმრების მომენტში, მათ მიმართ შესაძლო შესაფარდებელი დისციპლინარული სასჯელის აღწერა და ხანგრძლივობა, და ამგვარი სასჯელის შეფარდების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები განისაზღვრება კანონით ან სხვა კანონიერი გადაწყვეტილებით და ექვემდებარება გამოქვეყნებას.
2. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს უფლება აქვს მოსმენილ იქნას დისციპლინარული სასჯელის დაკისრებამდე. აგრეთვე მას უფლება აქვს გაასაჩივროს ასეთი სანქციები ზემდგომ ინსტანციაში.

პრინციპი 31

აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოები უნდა ცდილობდნენ, რომ, საჭიროებისამებრ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დახმარება აღმოუჩინონ დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირების კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით არასრულწლოვან პირებს და, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს.

პრინციპი 32

1. დაკავებული პირი ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები სასამართლო ან სხვა ორგანოების წინაშე მისი დაკავების კანონიერების გასასაჩივრებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაუყოვნებლივი გათავისუფლება, თუ დაკავება უკანონოა.
2. წინამდებარე პრინციპის 1-ლ პუნქტში აღნიშნული პროცედურები უნდა იყოს მარტივი, სწრაფი და უფასო, თუ დაკავებულ პირს შესაძლებლობა არ გააჩნია გაიღოს საამისო ხარჯები. უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც ახდენენ დაკავებას, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე წარუდგენენ დაკავებულ პირს მისი საქმის განმხილველ ორგანოს.

პრინციპი 33

1. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს ან მის ადვოკატს უფლება აქვს ამ პირის მიმართ განხორციელებულ მოპყრობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავ მოპყრობის შემთხვევაში, თხოვნით ან საჩივრით მიმართოს დაკავების ან დაპატიმრების ადგილის ადმინისტრციულ ან მათ ზემდგომ ორგანოებს, აუცილებლობის შემთხვევაში – იმ ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან საჩივრის განხილვაზე ან დაცვის საშუალებების

უზრუნველყოფაზე.

2. ისეთ შემთხვევებში, როდესაც არც დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირს და არც მის ადვოკატს არა აქვს წინამდებარე პრინციპის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის ოჯახის წევრს ან სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც იცნობს საქმეს, შეუძლია განახორციელოს ეს უფლებები.

3. თხოვნის ან საჩივრის კონფიდენციალური ხასიათი უზრუნველყოფილია, თუ ამას ითხოვს თხოვნის განმცხადებელი ან მომჩივანი.

4. ყოველი თხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული და პასუხგაცემული გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. ამ თხოვნის ან საჩივრის მიღებაზე უარის თქმის ან გაუმართლებელი დაყოვნების შემთხვევაში, თხოვნის განმცხადებელს ან მომჩივანს უფლება აქვს იგი წარუდგინოს სასამართლო ან სხვა ორგანოს. დაუშვებელია დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირი და ასევე სხვა თხოვნის განმცხადებელი ან მომჩივანი წინამდებარე პრინციპის 1-ლი პუქნტის შესაბამისად, იღევნებოდეს თხოვნის გაცხადების ან საჩივრის წარდგენისათვის.

პრინციპი 34

თუ დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის სიკვდილს ან გაუჩინარებას ადგილი აქვს პირის დაკავების ან პატიმრობის მომენტში, სასამართლო ან სხვა ორგანო, საკუთარი ინიციატივით ან ასეთი პირის ოჯახის წევრის ან იმ პირის თხოვნით, რომელსაც გააჩნია ინფორმაცია მოცემული საქმის შესახებ, აწარმოებს სიკვდილის ან გაუჩინარების მიზეზების მოკვლევას. თუ ეს გამართლებულია გარემოებებით, მაშინ ასეთი მოკვლევა ტარდება იგივე პროცედურულ საწყისებზე, როდესაც სიკვდილს ან გაუჩინარებას ადგილი აქვს დაკავების ან პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ მოკლე დროში. ასეთი მოკლვევის შედეგები ან ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოთხოვნისთანავე, თუ ეს ზიანს არ აყენებს მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებას.

პრინციპი 35

1. სახელმწიფო თანამდებობის პირის წინამდებარე პრინციპთა საწინააღმდეგო მოქმედებით ან უყურადღებობით გამოწვეული ზარალი, უნდა ანაზღაურდეს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ გამოყენებული ნორმების შესაბამისად.

2. ინფორმაცია, რომლის დაფიქსირება მოითხოვება წინამდებარე პრინციპთა შესაბამისად, წარდგინდება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ამ პრინციპის საფუძველზე ზარალის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნების წარდგენის მიზნით.

პრინციპი 36

1. დაკავებული პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ითვლება უდანაშაულოდ და მას უნდა მოეპყრონ როგორც ასეთს, სანამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით ღია სასამართლო განხილვისას, რომლის დროსაც იგი უზრუნველყოფილი იყო საკუთარი თავის დასაცავად აუცილებელი ყველანაირი გარანტიით.

2. ასეთი პირის დაკავება ან დაპატიმრება გამოძიების ან სასამართლო განხილვის მიმდინარეობის დროს დასაშვებია მხოლოდ მართლმსაჯულების მიზნებისათვის, კანონით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების საფუძველზე. აკრძალულია ასეთი პირის მიმართ ისეთი შეზღუდვების დაწესება, რაც მკაცრად არ არის განსაზღვრული დაკავების მიზნებისათვის, ან გამოძიების წარმოებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, ან დაკავების ადგილას უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად.

პრინციპი 37

პირი, რომელსაც წაყენებული აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალდება, დაპატიმრების შემდგომ გასულ უმოკლეს ვადაში, უნდა წარედგინოს სასამართლო ან კანონით განსაზღვრულ სხვა ორგანოს. ასეთმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაკავების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შესახებ. არავინ არ უნდა იქნეს დაკავებული გამოძიების ან სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას, ამგვარი ორგანოს წერილობითი დადგენილების გარეშე. დაკავებულ პირს, ზემოაღნიშნული ორგანოს წინაშე წარდგენისას, უფლება აქვს განაცხადოს დაკავების პერიოდში მის მიმართ განხორციელებული მოპყრობის შესახებ

პრინციპი 38

სისხლისსამართლებრივი ბრალდებით დაკავებულ პირს, უფლება აქვს გონივრულ ვადებში სასამართლო განხილვაზე, ან გათავისუფლებაზე სასამართლო პროცესის დაწყებამდე.

პრინციპი 39

კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, და თუ მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო ან სხვა ორგანო არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას, სისხლისსამართლებრივი ბრალდებით დაკავებულ პირს, ეძლევა შესაძლებლობა გათავისუფლებულ იქნეს სასამართლო განხილვის მიმდინარეობის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში. ასეთი ორგანოს კომპეტენციაა დაკავების აუცილებლობის საკითხის თვალყურის დევნება.

ზოგადი დებულება

წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობაში არაფერი არ უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი უფლების შეზღუდვად ან მისგან გადახვევად, როგორც ეს განსაზღვრულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში.